

ქართულ უნივერსიტეტს

ზეიმი არის სახალხო — ერის დიდების ზეიმი!
 ქართული აზრი ამწევდა, ვით არ მწეობდეს მზე იგი!
 შენა ხარ იგი საუნჯე, ამომავალი მზე ვითა,
 სიკეთეაუწონელი, ზეიმი ყველა ზეიმა!
 სამოცი წელი ვინა თქვა, საუკუნეებს გამოსცდი —
 ერისკაცების გამზრდელი ასიათასჯერ სამოცის!
 შენ ერთადერთი შვილი ხარ და ერთადერთი დედა ხარ —
 იმედად მოვლინებული ქართული ნიჭის ვენახად!
 შენ ყრმათა გაზაფხული ხარ, ერის მარადი სიმწვანე!
 ხარ ჩვენთვის თავდადებული და ჩვენც ამიტომ გიწამეთ!
 შენს საუფალო მამულში მტერმა ვერ თესოს, ვერ მოხნას!
 ამ ღვთიურ საქართველოში მეორე საქართველო ხარ!
 რაიც გაგაჩნდა, მოგვეცი, არ დაგვაკელი მისხალიც,
 ცოდნას და პატიოსნებას სიბრძნის წყაროდან გვისხამდი!
 მტერი რომ გვპულდეს მტერივით, მძა რომ გვიყვარდეს
 მძასავით, —

აი, ამ ჭეშმარიტებას სამოცი წელი გვასწავლი!
 რამდენი რამე მოვთვალე, ძალაც არ შემწევს გამოთქმის,
 საშვილიშვილო საქმისთვის შენს თავდადებას რა
 მოთვლის?!

რაც ჩვენში უმაღლესია, შენი ძუძუთი იზარდა!
 შენ მიიყვანე ისინი ერის სასუკვარ მიზანთან!
 შენ დაურწიე აკვანი ბევრ მსახიობს და მოძღვრალს,
 ვერ ინათებდნენ უშენოდ კინო, თეატრი, ოპერა!..
 ბევრი მწერალი გაბრწყინდა შენი „პირველი სხივითა“,
 ბევრმა კი წერა შეწყვიტა და... სწორ დასკვნამდე მივიდა!
 შენ ლეგენდარულ სპორტსმენთა გაზარდე ლეგიონები
 და ფიზკულტურის ინსტიტუტს სჯობისხარ ჩემპიონებით!
 ეტრფი ფეხბურთის ვარსკვლავთა ფინტებს, გარღვევებს,
 შეტევებს!..

შენ დიპლომები მატჩის დროს მიეცი მესხს და
 პეტრეველს!
 ზეიმებზედაც თუმცადა დღეს საჭიროა კრიტიკა, —
 ჩვენ შენ კრიტიკას ვერ გკადრებთ, ისე წმინდა და დიდი
 ხარ!

ეს სხვათაშორის უნდა ვთქვათ, წყენა არ გვინდა არვისი:
 ხარისხის დაცვა არ ნიშნავს — ყველამ დაიცვას ხარისხი!
 მაღალი, უხვო, მდაბალი, მოსამართლეც და მოწყალეც,
 ქართველთა დედატაძარო, — არაქართველნიც გლოტავენ!
 უკვდავი ენა ქართული აღირსე ნანატრ მზიან დღეს
 და სახელმწიფო გამოცდა დროს ჩააბარე ფრიადზე!
 საქართველოში კადრების მდინარედ მოედინები,
 ერის მომავლის დონე ხარ, ერის მომავლის იმედი!
 დღეს გეტყვით გურამიშვილის უკვდავ სტროფს სამსტრი-
 ქონიანს:

„ის გრწამდეს, ვინც რომ დაგბადა, მოგცა ჭკუა და გონია!..
 მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და
 გორია,
 მხნე იყავნ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწო-
 რია!“
 მარად გეცოცხლოს დიდგორით და არასოდეს — კრწანი-
 სით!

გქონოდეს უბერებლობა დიდი აკაკი შანიძის!
 თუმცა სათქმელი კიდევ გვაქვს, სჯობს ლექსი ასე გა-
 თავდეს:
 შენს იუბილეს დიდება! მარადისობა გხატავდეს!



ნ.ბ. ლომიძისა



— საწყალი სტუდენტი! რაც გამოცდები დაიწყო, მაგიდლი-დან თავი არ აუწვია!

ნამდვილი ამბები

მამის სახელი

სახელოვან თურქოლოგს — პროფესორ სერგი ჯიქიას — დაბადების 80 წლისთავს უხდიდნენ. ადრესის რედაქტორმა კათედრაზე დარეკა და იკითხა:

- სერგი ჯიქიას მამის სახელი ხომ არ იცით?
- სიმონი, ბატონო! — გაისმა ყურმილში.
- ნამდვილად იცით?
- მე თვითონ ვარ სერგი, მამაჩემის სახელი როგორ არ მეცოდინება?!

გვარის უცვლა

ოცინანი წლების ერთ-ერთი წერა-კითხვის არმცოდნე დამლაგებელი, როგორც წესი, თვეში ორჯერ იღებს ხელფასს და თავისი გვარის გასწვრივ მუდამ ერთნაირად აწერს — 0 0 0.

ერთ მშვენიერ დღეს სასტიკად შეიცვლის ხელწერას და უწყისში ჩნდება+++.

- რა ქენი, ქალო, ბანკი ამ საბუთს როგორ მიიღებს?! — გაოცდა მოლარე.
- ქმრის გვარზე გადავედი!

შეკრიბა გვანჯი მანიამ

დილოგები

სახელმწიფო გამოცდაზე

- რომ შემოხვედით, უფრო კარგად ფლობდით ენას!
- მას მერე ხუთი წელი გავიდა, პატივცემულო! ენამ დავიწყება იცის!

მშობელთა კრებაზე უნივერსიტეტში

- რატომ არ იყო თქვენი შვილი გუშინ ლექციაზე?
- მშობელთა კრებაზე იყო, ბატონო, სკოლაში!

ნ. ბ.

სტუდენტი: პატივცემულო პროფესორო! თუ მოგეწონათ ჩემი საკურსო?

პროფესორი: კარგია, სიტყვასიტყვით ჩემი წიგნიდანაა გადმოწერილი!

თქვენი ქარდავა

რობანიები

ერთ ჩემ ნაცნობ პროტექტორთან ვიყავ გუშინ დილას, კარი აღარ გამიღო და აღარც მომისმინა. მომძახხა: „გირჩევნოდეს აქეთ-იქით წანწაღს, მაგ საგანში ცოტა მაინც წაგეშეცადინა!“

— | —

გუშინ ერთ ჭგუფში შევიარე და მეცა ელდა, ორი გოგონა უსირცხვილოდ სიგარეტს წევდა, წუხდნენ ბიჭები, ისრჩობოდნენ თამბაქოს კვამლით, ეუბნებოდნენ: „გოგონებო, სირცხვილი თქვენდა!“

ნ.ბ.

ლილიანი უნივერსიტეტი

- **პრის** სიმაღლე (ზღვისა და ინტელექტის დონიდან) მისივე უნივერსიტეტის სიმაღლით იზომება!
- **უნივერსიტეტის** სტუდენტ ხართ და ამაყობთ? რად არა, იამაყეთ, ოღონდ... საქართველოსაც ყოველთვის მიანიჭეთ უფლება — იამაყოს თქვენიო!
- **ცოდნის** ტაძარში იმედის სათელიც უნდა იწვოდეს.
- **თავმა** თუ არ გავვიმართლა, ბედი როგორღა გავვიმართლებს?!
- **უნივერსიტეტს** თვალ-ყურზე მეტად თვალ-გულის მიღევნება სჭირდება!
- **ზოგირთს** ცოდნის ძირს ვერ უბოვი, კენწეროს — რამდენსაც გინდა.
- **ღმერთმა** ნუ ქნას, უნივერსიტეტიდან უნივერსალურად გაუნათლებელნიც გამოლიოდნენ.
- **უნივერსიტეტის** მსახურზე დიდი თანამდებობა არც არის და ვერც გამოიგონებთ!
- **უნივერსიტეტი** ერის ენაა, ენა კი, როგორც ყოველ ცოცხალ ადამიანს, უნივერსიტეტსაც ერთი აქვს.
- **სახელის** გატან-გამოტანაზე ნუ ცდებით, ცოდნა შეიტანეთ!
- **სპეციალოგები** ბევრი გვაქვს, სპეციალისტებიღა გვაკლია!
- **უნივერსიტეტო!** დიდი ივანე თუ ქუდს გიხდია, ჩვენ ქელი არ უნდა მოგიხაროთ?!

ზაზა კაციაშვილი


ფრაზები

- ჩათვლის არ ჩათვლა ორიანად არ ჩათვალა და პირველ კურსზევე ჩათვლიმა.
- **სტუდენტობა** ოქროს ხანა არისო და — ათი წელი არ მოშორებია უნივერსიტეტს.
- **მკონომიას** არ კითხულობდა დროის ეკონომიის მიზნით.
- **მნა ვერ ჩააბარა და...** სტუდებილეთი ჩააბარა.
- **ლექტორი** ლექციას კითხულობდა და ვინ უსმენდა, არ კითხულობდა.
- **ლობიკაში** მიღებულ ორიანს არალოგიკურად თვლიდა.
- **ზმნის გვარის** მაგივრად ლექტორის გვარი იცოდა.
- **ზმნა მიუღლეო და** — უღლება არ ვიცი, მეუღლე არა მყავსო!

ვანო ცინცაძე



— „გლახის ნაამბობის“ ავტორი არ იცი! „გვალ ბიგვას“ ავტორის გვარი არ გახსოვს!.. იქნება, იმ პროტექტორის გვარი გაიხსენო, ვინც ჩემთან გამოგზავნა?!



გაგულის კასთათვის

მე ადრეც მითქვამს ჩემი ხალხისთვის საჭაროდ: საქართველოს ბევრი უბედურება და ვაი-ვაგლახი განუცდია, მაგრამ, თუკი ოდესმე მცირედაც მაინც რიგიან პირობებში ჩავარდნილა, მკვდრებით აღმდგარა და ფენიქსებრ განახლებულა, რამეთუ მამულში კაცი არ დაღუვლა, მისი ფიქრი ეროვნულ თვითმყოფობაზე არ დაშრტილა.

ასე იყო მაშინაც. გუშინდელივით მახსოვს, პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე, ჩემს ბინაში, ქართულ უნივერსიტეტზე მეოცნებეთა პირველი შეკრება 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. აქ იყვნენ ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, შ. ნუცუბიძე და სხვები.

ჩვენ მაშინ გადაუდებელ ამოცანად დავისახეთ, შეგვექმნა საზოგადოებრივი აზრი ქართული ეროვნული უნივერსიტეტის აუცილებლობაზე.

მე იმთავითვე მიმაჩნდა, რომ უმაღლესი მეცნიერებისა და მწერლობისათვის განსაკუთრებულნი დაწესებულებანი და მეცნიერებათა საკმაო რიცხვია საჭირო და რომ დაბალსა და საშუალო ეროვნულ სკოლას ბუნებრივი და სადი განვითარება არ შეუძლია, თუ რომ ეროვნულს განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აკვირავინებს.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეისხა ხორცი ჩემი და ჩემი კოლეგების ოცნებამ და მე წილად მხვდა დიდი პატივი — წამეითხა პირველი ლექცია პირველ ქართულ უნივერსიტეტში 1918 წლის 30 იანვარს, მისი

გახსნიდან სამი დღის შემდეგ, და თემაც ამ ლექციისა — „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფოსო მწერლობაში“ — შემთხვევით არ შემირჩევია. ყოველთვის მჯეროდა ჩემი ერის, ქართველი კაცის შინაგანი კეთილშობილებისა და დიდი შემოქმედებითი პოტენციისა.

დღევანდელი ჩემი უნივერსიტეტი ამის დასტურად მიმაჩნია. ოღონდ ერთს კი დავძენდი შინაურულად, მხოლოდ ჩემიანების გასაგონად: მაკვირვებს, ასე სახელდახელოდ როგორ ამრავლებთ ამდენ წვრილფეხა მეცნიერებს, რამე სიახლე ხომ არ დანერგეთ? (ინკუბატორის მსგავსი რამ). ეს ეჭვი რახანია მაწამებს და იმიტომ წამიცა სიტყვა.

თქვენი შემყურე სინანულით გადავხედავ ხოლმე ჩემს წარსულს: 1899 წლიდან 1917 წლამდე 40 მეცნიერული შრომა გამოვაქვეყნე, მაგრამ ვერ შევძელი თუნდაც ერთხელ თავი მეცნიერებათა კანდიდატად დამესახელებინა.

აფერუმ თქვენს გამბედაობას! მინდა რჩევა მოგცეთ უმცროს კოლეგებს, მაგრამ ვშიშობ, ჩემი უსაფუძვლო კრთობა სამეცნიერო დამწერლობის წინაშე თქვენც არ გადაგედოთ.

ვიდრე დაწერდეთ რამეს, უნდა გაიხსენოთ ჩემი სახელოვანი წინაპრის — არსენ ყვარტლის სიტყვები: „წინაი არსენ ყვარტი მემტუელი, დამწერალი სპამეალოუსი, ზოგჯერ კი უფრო მის განმეამბაღ...“

ერთი რამ კიდევ მინდა შეგახსენოთ: ჩემი უნივერსიტეტის გახსნა 1918 წელს ლამის გადაიღო უსახსრობის გამო, მაგრამ ჩვენ მაშინ კრების დადგენილებას მივამატეთ ჩემი „დათქმა“, სადაც უნივერსიტეტის საზოგადოების სახელით ვიკისრეთ, რადაც არ უნდა დავგველომდა, გამოგვენახა საჭირო სახსრები.

თქვენ, ჩემო უმცროსო კოლეგებო, ახლა კეთილმოწყობილ უნივერსიტეტში გიხდებათ მუშაობა და საამისო არაფერი გიჭირთ!

ქართველი კაცის ხასიათში არის ერთი შესანიშნავი თვისება: პურის ნატეხს რომ ძირს დავარდნილს ნახავს, აიღებს, სულს შეუბერავს, აკოცებს და საპატიო ადგილას დადებს.

დამერწმუნებით, ბევრგან უპატრონოდ ყრია ჩემი სულიერი პურის — ქართული ეროვნული საუნჯის წმინდა ნაწილები: ჩუქურთმიანი ქვა, სტელა, ქვაჯვარი, ხელი; აწვიმთ ფრესკებსა და ხატწერის ულამაზეს ნიმუშებს გუმბათგადახდილ ტაძარ-ეკლესიებში...

მათზე დისერტაციების დაცვას, ვგონებ, აჭობებდა, თვითონ ისინი დაგვეცვა მივიწყების მტერისა და „შინაური“ მტრისაგან.

გულით გილოცავთ ქართული უნივერსიტეტის დაბადების 60 წლისთავს!

ივანე ჯავახიშვილის სიტყვა ჩაიწერა ელგუჯა მერაბიშვილმა

ნაწუვატევი სტუდენტის დღიურიდან

31 ივლისი

„...ხვალ იწყება მისაღები. წელსაც თუ არ მოხვდვი, ნამდვილად თავს მოვიკლავ, ჩემ დეიკოს ვფიცავარ. არავითარ შემთხვევაში მეათედ აღარ ჩაებაბარებ, მეყო!.. ავღებები და გა? თხოვდები.“

22 აგვისტო

„ვაშა! ბის! ბრავო! ურა! ბანაი! ისმინეთ ყველამ: მე სტუდენტი ვარ!.. ნულარ დარდობ, მამიკო! შენი მონდობება დაფასდა: ტყუილად არ იხდიდი რეპეტიტორებთან წელიწადში ორი ათას მანეთს... ცხრაჯერ ორი — თერამეტი! სამი „ჟიგულის“ ფული, ხალხო!.. სამაგიეროდ, სტუდენტი ვარ!“

1 სექტემბერი

„სტუდენტობას არაფერი ჯობნებია, სულ სხვა განცდა ყოფილა. დღეს ლექციები არ ჩაგეტარებია: რაც უნდა ქაჩი ლექტორი იყოს, პირველ დღეს ლექციის წამკითხველი არ არის... მესხუთეჯერ ვნახე „სათამაშო“. ბელმონდოზე ვსულელდები!“

30 ოქტომბერი

„სანოემბროდ მეგობრობის მატარებლით მივდივართ სამოგზაუროდ... გუშინ მანანას ნაძლევი მოვუგე: გინდა თუ არა, ას ოცდარვა საათი გაქვს გაცდენილიო. პოლიტეკონომის ლექციაზე სპეციალურად დავრჩით საანგარიშოდ, დავიდეთ ჟურნალი და გამოვითვალეთ: ას ექვსი გამოვიდა. მანანამ ის ვერ გაითვალისწინა, რომ ყველა ლექტორი არ კითხულობს სიას... მანანამ „კაფე“ იკისრა, მევე კინოში წყვედით. მერვეჯერ ვნახე „ჩასტნი დეტექტივი“. ბელმონდოზე ვგაიქვები! რა კარგია სტუდენტობა, ხალხო!“

20 ნოემბერი

„...მოგზაურობიდან ჩამოვედით. ვაპ, რა დიდებული რამე იყო, რა დრო ვატრეთ, რა ვიცინეთ, რა ხოხმები ჩავატარეთ!.. კუბიდან არც გამოვსულვართ... ისე ვარ, აუღიბორისკენ გახედვაც არ მინდა. ერთი მალე მოვიდეს თებერვალი: ბაკურიანისკენ გავეტრებთ მე და მანანა!.. მეცოდება, ვინც სტუდენტობის გემო არ იცის!...“

31 დეკემბერი

„...არ დაიჯერებთ: მე და მანანა უნივერსიტეტიდან გაგვიციტეს...“
რამდენიმე სიტყვის გარჩევა კიდევ შეიძლება: „ჩემი დედიკო... მამაჩემი... იღბალი...“
მერე დღიური წყდება.

შუალამისას

შუალამისას „მალალი გზნებით“ ყვირი და ვი არ გიკვირას, თუმცა შენს ირგვლივ არიან სხვებიც! — მიმოიხედე ირგვლივ!


შენ ფირფიტები მალალ ხმით ჩართე, შტრაუსისა თუ გრიგი, შენს ახლოს ღამეს რამდენი ათევის! — მიმოიხედე ირგვლივ!

დაბლა, ეზოში, გაშალე სუფრა, ქუხს სასმისების რიგი... ძილვატეხილთა ჩოჩქოლი სუფევს! — მიმოიხედე ირგვლივ!


დილაძღე ისევ მუსიკა გართობს და ცეკვატ ტლინკა-ტლინკით, შენ ქვეყანაზე არა ხარ მარტო! — მიმოიხედე ირგვლივ!

იხარო პაპარაზამე

ნახ. 3. დენისაძისა



ნახ. 3. მამდლიშვილისა



გაზის ქუჩაში გოჭი შეიბრაწა, უკანასკნელი ხაჭაპური გამოცხვა და სუფრაც გაიშალა. სამსახურმა მაღალმთიან რაიონში გადაინაცვლა. ოჯახი ტოვებდა ქალაქს. ჩემოდნებში საჭირო ნივთები ჩაალაგეს, კარ-ფანჯრები მიკეტ-მოკეტეს. ჩაქრა კერია, გახქურაში ცეცხლი აღარ ენთო, მაგრამ ღიად დატოვებული ონკანიდან გაზი მოედინებოდა...

გადიოდა დღეები და თვეები. გაზმა მეშვიდე ოთახის მერვე ლოჯიას მიაღწია და მეზობლის კაპიტალურ კედელს მიაწვა. არავინ იცოდა, რა სამშრობა ელოდა არა მარტო მიტოვებულ ოჯახსა და მის მეზობლებს, არამედ მთელ კვარტალს, სახლის შემოგარენს...

რამდენიმე თვის შემდეგ ოჯახის უფროსი ცენტრში გამოიძახეს. ნათათბირებმა ძმა-ბიჭებში გაიარა, პურ-მარილი გააჩაღა და გვიან ღამით ალკოჰოლით დატვირთული ორგანიზმი სახლს მიაყენა. რამდენიმე გასაღები რამდენიმე ჭრილში მოარგო და კარი გააღო. ჰაერის უკმარისობა დაკეტილ, გაუნიავებელ ბინას დააბრალა და წინ გაიწია. ჩამრთველი მოძებნა, ჩართო, მაგრამ სინათლე არ აინთო, ჯიბეში ხელი მოაფათურა,

ასანთი ამოიღო, მაგრამ ხელიდან გაუვარდა. დაიხარა, ხელი იატაკს მოუსვა, თითქოს ეფერებოდა, და ასანთი კვლავ ხელში ჩაიგდო. სული ეხუთებოდა, მაგრამ მიზეზს ვერ ხვდებოდა. ღერი ამოიღო, ხელში მოიმარჯვა და კოლოფის გვერდს ჩამოკრა, ღერი გადატყდა. მეორე ღერი ამოიღო, გაჭკრა, მაგრამ თავი მოძვრა. ახლა თითებით მსხვილთავა ასანთი მოძებნა, კოლოფს გვერდი შეუცვალა და, რაც შეიძლება, ძლიერ ჩამოჭკრა. კოლოფი დაიშალა, მაგრამ ასანთი კვლავ არ აინთო.

— ფუ, გამჭედი გაგიწყდესო! — წამოიძახა, ფანჯარასთან მიიჭრა, გამოაღო და დაშლილი კოლოფი შორს გაისროლა. დაგროვილმა გაზმა იგრიალა და გარეთ გავარდა, სუფთა ჰაერი ოთახში შემოიჭრა.

ალკოჰოლითა და გაზით მოწამლულ ტანზე დადგმული თავი დაიხარა, თვალებმა შორს გასროლილი ასანთის კოლოფი მოძებნეს და დაამტერდნენ. გონება გონს ეგებოდა. ხარისხი უფასურდებოდა. უხარისხობას სიცოცხლის ფასი ეღებოდა.

შანი სინარულიძე

გარათავე უკითხვაგით: „ვის მივპართო?!“

რა ვქნათ?!“

იმაერთის ქუჩაზე ვცხოვრობთ და სწორედ ისეთი ხევია ჩვენს ქუჩაზე, მთა-გორიან იმერეთს რომ შეეფერება. საკუთარ ეზო-სახლებში საკუთარი ხილებით შევდივართ ხელიხელჩაკიდებულნი. აქაოდა, ქუჩა კი არა, ხევიაო, ნაგვის დაყრაც დაიწყეს ზოგიერთებმა. ვის მივმართოთ, რა ვქნათ?

ა. თბილისი, იმაერთის ქუჩის მცხოვრებნი

ჩვენს ქუჩას სვანეთის ქუჩა ჰქვია და სვანეთში კი არა, თბილისში მდებარეობს, მეტრო „ოქტომბერის“ ახლოს. მართალია, აღმართია ჩვენი ქუჩა, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქეები ვართ და გვინდა ყოველდღე, ჩვეულებრივად გვემსახუროდეს ნაგვის მანქანა. რა ვქნათ?

ბ. თბილისი, სვანეთის ქუჩის მცხოვრებნი

წინააღმდეგნი არა ვართ წინსვლის, მშენებლობისა და დამშენებისა, ამიტომ ხევძმარას ხევში ტრამვაის ხაზისა და ხიდის მშენებლობას მივესალმებით, მაგრამ ხევძმარას ხევი რომ ჩაიხერგა, შეგუბდა, კანალიზაციის წყალი ეზოებში ამოგვივიდა, არ მოგვწონს და რა ვქნათ, თანაც ხევძმარას ვიცნობთ, აღიღება იცის...

გ. თბილისი, ხევძმარას ქუჩის მცხოვრებნი

ზაფხულში კვირაში ერთხელ მაინც ვნახულობდით კინოსურათს, მწვანე მოღზე მხარეთქოზე წამოწოლილი, აბანოს კედელზე ფართოდ გაშლილი ეკრანიდან. აბანოსი, რომელიც მშენებლობის დაწყებიდან მალე 25 წლისთავს იზეიმებს: დიახ, ზაფხულში კი ვუყურებდით სურათს, თან კინოფირის გაწყვეტისას ვისვენებდით და ვსაუბრობდით კიდევ, მაგრამ ზამთარში რომ დაგვიხურავენ აბანოზე მიკედლებულ კინოს, მაშინ რა ვქნათ?

მარნეულის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ახალგაზრდობა

ენაშრომის მშენებლობასთან დაკავშირებით რკინიგზას და ზედაეწრის ბაქანსაც ვეღირსეთ. მის კეთილმოწყობასა და ანტისანიტარიისზე არაფერს ვიტყვი, განათება რომ იყოს. ძალიან ძნელია ღამით, ბნელში, მატარებელში აბარგება-ჩამობარგება. არ გეგონოთ, სინათლის გაყვანა ძნელი საქმე იყოს. გზა ელექტროფიციურებულია, ბაქნის მახლობლად ქვესადგურია...

ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედაეწრის მცხოვრებნი

რედაქცია სთხოვს ვისაც ჭერ არს, უპასუხოს აქ დასმულ კითხვებს.

ჩვენი უნივერსიტეტი

გამაღლებთ, ვაქებთ, ვადიდებთ, — მზესავით მუდამ სხივამილს, სანამდე ცხადად ვნახავდი, სამჯერ ვიხილე სიზმარში. ერთხელ: ვურბენდი გარშემო, გულს ელდაგანაკარები, ვურბენდი გაგიჟებული და ვერ ვუნახე კარები... უეცრად გამომეღვიძა ტირილით, აკანკალებით!.. იმ წელს გამოცდებს ვერ გავსციდი, — „ორი“ მაქახეს საბარლოს, სულ ჩემი ჭკუის ბრალია, გამომცდელს როგორ ვაბრალო?! მეორედ: კარი ვუნახე, პატარა კარი, რა კარი... როს ცალი ფეხი შევადგი, დამაწყებინა კანკალი, თავი ვიგრძენი დაბმულად, ვიწვალე, ველარ ავეში, ტყუილ გოჭივით ვჭყიოდი, — გაცვეთებული კარებში. იმ წელს ქულები არ მეყო, სიზმარი ცუდად ამიხდა, ასჯერ ნაშუთხი წიგნები ისევ საშუთხი გამიხდა. მესამედ: ფართო კარებში შევფრინდი, როგორც არწივი, როს გამეღვიძა, ვხარობდი, ვით პურის ყანა ნაწვიმი. იმ წელს მეშველა: თითქოსდა, გამეხსნა ზეცის კარები, გამოცდებს გავსციდი გმირულად, გავიმარჯვე და გავედი. ხუთ წელს გამწვრთნა და აღმზარდა, ხელი მომხვია მამური, ჩემს უნებურად ქუდს ვიხდი, როდესაც ახლოს ჩავუვლი!

ნოდარ უამანაძე

ნახ. მ. აბაშიძისა



— მთხოველავს გათგობის საკითხებზე უფროსი ზამთარში არ იღებს!

პარტიკული

მუხრან მაზაზარინი

თოფით მხარზე შევუღებო აღმართს...
რა თქმა უნდა, წინ გამისწრო ძაღლმა...
შევიკურთხე, ჩავიქნე ხელი:
არ აფრინდა თუნდაც ერთი მწვერი —
ემ, სადღაა ის ვარაზისხევი...
სადაცაა, ავათავებ ასფალტს,
უნევერსიტეტს მივადგები, ალბათ.
ავიფაქე... აგერ ვდგავარ ახლა. —
რა კარგია, აქ რომ დამახანდა!

ლია სტურუა

აზრის მდინარე მოდიოდა
ცოდნის მინდორზე
და ვარდისფერი, მკვეთრი განცდები
ცისფერ იდეებს დეპტორი ეწოდებოდნენ.
არარსებული თეთრი სტუდენტი
არარსებულ დეპტორს უსმენდა
და ლეონარდოს მშვიდი მადონა
იმზირებოდა მშვიდი მღვიმიდან.
იყო რაღაცა ოთხკუთხედი და ხორკლიანი
დეპტორის სმაში.

ბარბელ მანტუჩია

დეპტორი

აზრე... ბუზი სარკმელთან
მიმწვევდებოდა. ბუზი სარკმელთან
მიმწვევდებოდა. დეპტორი გალობს
ეკონომიკურ თემაზე.
დეპტორი და ვერ იტყვი,
რაც მოგაღებია ენაზე!
პირველ კორპუსში შემოდი
ჭინების გამოფენაზე!
როცა გითხრა „ი!“ —
მაშინ გა-მო-დი!

ვახტანგ ჯაფარიძე

სტუდენტური ელემენტი

ვაი, როგორ ვაიბაწრა
ეს დღეები უშარბათო...
ორშაბათი, სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი...
რად მინდინარ, პარასკევო,
გავიხარებ უშაბათოდ!
თვეში მხოლოდ ოთხი დღეა,
გულს რომ ჩაიკირა:
ერთი — კვირა, ორი — კვირა,
კვირა, ისევ — კვირა!

ზაურ ბოლქვაძე

ხანწაულები მეფობენ იბგველივ,
სწავლის და შექმნის რა ხალისია!
სტუდენტისათვის არ კმარა იგი,
რაც მოსწავლისთვის საქარისია...
და თუ ცოდნას და მოყოლას შენსას
გამომცდელისთვის არა აქვს ფასი, —
უნევერსიტეტში წვალებით შესვლას,
სკობს. დამწვიდებით შეხვიდე სახლში!

ლერი ჩანტლაძე

ჯიბილოს ქუდი

ვიღრმე ჯიბილოს ქუდის ისტორიას მოვყვები, მანამდე ასეთი
კითხვა დავსვამ: რა ღირს ქუდი?

თქვენ, ალბათ, იცით სამმანეთიანი, შვიდმანეთიანი, თოთხმეტ-
მანეთიანი და ასე შემდეგ ქუდი. ასე შემდეგ, მაგრამ არც ისე შემ-
დეგ, რომ ვთქვათ, ორას მანეთს გადააჭარბოს რომელიმე და რაი-
მე სახის ქუდმა. ორას მანეთში კი გულისხმობთ, ალბათ, ბატონის
ხუჭუჭა ტყავისაგან შეკერილ კონის ნახელავ ბუხარას ქუდს, რომ-
ლითაც ძველქართველებს ასე მოჰქონდათ ხოლმე თავი.

მაშ, ახლა მე დამიგდეთ უფრო: მე ორმოცი ათასმანეთიანი ქუდი
მინახავს, ორმოცდახუთი, ორმოცდაათი ათასმანეთიანი. არა გჭე-
რათ?

ერთი ასეთი ქუდთაგანი ეკუთვნის ჯიბილოს სუნიკაშვილს. ქუდი,
რომელსაც ჯიბილოს ბრძენ თავზე სულ რამდენიმე თვე აქვს გატა-
რებული და დანარჩენ დროს, წლების განმავლობაში, სამსახურში
ჰკიდია საერთო საკიდარზე, უპატრონოდ, ხელუხლებლად, შეუმჩ-
ნევლად, უყურადღებოდ.

რა ღმერთი გაუწყრათ, რომ ასეთ ძვირფას ქუდს ვერ ამჩნევენ?
თქვენ გაიხარეთ! თუ არაფერი არა აქვს განსაკუთრებული, ვინ
უნდა შეამჩნიოს, როგორ უნდა შეამჩნიოს?! ჰკიდია საკიდარზე
ჩვეულებრივი, ფორმადაკარგული, გაჭუჭყლიანებული ქუდი და სხვა
ქუდების გვერდით არც თავი მოსწონს, არც პრეტენზიას აცხადებს
რამეზე და არც...

მაგრამ ამდენი „არც“ ძალიან შორს წავიყვანს. თქვენ გაინტე-
რესებთ, რატომ და რანაირად ღირს ეს ქუდი ორმოცდაათი ათასი
მანეთი. ახლავ მოგახსენებთ. ამ ქუდმა ორმოცდაათი ათასი მანე-
თი აშოვნინა ჯიბილოს სუნიკაშვილს და იმიტომ ღირს ორმოცდაათი
ათასი მანეთი.

როგორ აშოვნინა და რანაირად აშოვნინა? ესეც დროული კითხ-
ვაა. მოგახსენებთ. ჯიბილოს სამსახურში ცხადდება დილის ცხრა სა-
ათზე. ოცი წუთის შემდეგ კი ტოვებს სამსახურს. ჰკიდებს ამ ქუდს
საკიდარზე და თვითონ სადღაც ქრება. ჯიბილოს ქრება და ქუდი
რჩება.

მოდის მოქალაქე და კითხულობს ჯიბილოს. თანამშრომელი გო-
გონა შეხედავს ჯიბილოს ქუდს და მოქალაქეს უპასუხებს:

— უი, აქ არის სადღაც, დაწესებულებაში. გარეთ არ გასულა.
აგერ მისი ქუდი, ბატონო!

ეძებე ჯიბილოს დაწესებულებაში, თუ ბიჭი ხარ! ჯიბილოს ტრეს-
ტის შენობა თოთხმეტი სართულისაგან შედგება.

მის სამუშაო ოთახში კი მოდიან და მოდიან მთხოვნელები, მომ-
ჩივნები, პასუხით დაინტერესებული პირები, ნაცნობები, უცნობები
და თანამშრომელი გოგონა ყოველთვის ჯიბილოს ქუდზე მიათითებს:

— აქვეა, ბატონო, შენობაში, გარეთ არ გასულა. მოვა მალე, ე,
ქუდი.

ეს „მალე“ დღის ხუთ საათსა და ოცდაათ წუთამდე გრძელდებ-
და. ამ დროისათვის კი უსათუოდ მოდის ჯიბილოს დაწესებულებაში,
მომჩივნებს, მთხოვნელებს, პასუხის მძებნელებს მეორე დღისათ-
ვის იხარებს, იხურავს თავის ძვირფას ქუდს და გასწევს სახლისაკენ.

მაშ, არა ღირს ჯიბილოს სუნიკაშვილის ქუდი ორმოცდაათი ათა-
სი მანეთი? დილის ათის ნახევრიდან საღამოს ექვსის ნახევრამდე

ქუდი მუშაობს ჯიბილოს მაგიერ და მისით აღებული ხელფასი ჯი-
ბილოს ჯიბისაკენ მინავარდობს. აბა, ვიანგარიშით: ოცი წელიწა-
დია, რაც ჯიბილოს ამ ტრესტში მუშაობს. ოცჯერ თორმეტი, —

ორას ორმოცი თვე. თვეში ას სამოცი მანეთი აქვს ხელფასი ჯიბი-
ლოს. ას სამოცი მანეთიდან მხოლოდ ერთი თუმანი ეკუთვნის პი-
რადლ მას. დანარჩენი ქუდის მიერ არის ნაშოვნი. ორას ორმოცჯერ

ას ორმოცდაათი... მგონი არ გამოდის ორმოცდაათი ათასი მანეთი,
ანუ ის თანხა, რომლითაც ჯიბილოს ქუდი შევადგინეთ. თუმცა, მის

ღირებულებაში ხომ მხოლოდ ტრესტში ნაშოვნი ფული არ შედის.
მისი პატრონი რომ მთელი დღის განმავლობაში გარეთ ფულს შო-
ულობდა, ის ამ ქუდის დახმარებით არ იყო ნაშოვნი? ჰოდა, ყვე-
ლაფერს ნუ იანგარიშებთ, თორემ, ჯიბილოს ქუდის ღირებულება

ასი ათასსაც წაებოტინება.



სად ქუდი და სად ნაშუიო, იტყვიან ხოლმე.

სად ქუდი და სად ნაშუიო, იტყვიან ხოლმე.

გია ივანიშვილი

ნან. რ. ჯაფარიძე

FIFA
ერთიანი
ბიზნისი



სტიქოვო

მთავარი რედაქტორი **ზურაბ ბეგაშვილი** საკრებულო კოლეგია: **ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე) **ზ. კაციანი**,
ზ. ლომია, **ზ. ლომია**, **ნ. მალაფონა** (მხატვ. რედ.), **ბ. ნიშინაძე**, **ბ. სინარულიძე** (პ/გ. მდივანი), **ბ. ფირცხალავა**, **მ. ზალიძე**
● ბამნიკური რედაქტორი **მ. კახალაშვილი**, ● საბირისა და იუმორის ურუნალი „ნიანგი“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცემა ასაწყობად 4/XI-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XI-78 წ. ქალაქის ზომა 70x108/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის
1.14. ● შეკვ. 3011 უფ. 00972 ტირ. 141.000 — თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Ниянги», ● Изда-
тельство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, თბილისი, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მისაღები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტო-
რები: მ. აბაშიძე, ნ. ბარ-
თაია, ზ. ბოლქვაძე, მ. დე-
ისაძე, ვ. კუციანი, გ. ლომი-
ძე, მ. მკვედრიშვილი, ი. ქი-
ნაშვილი, რ. ჯაფარიძე.






— საკვირველია კირდაკირ! ამდენი დაღვნილება გამოვიტანეთ ხუ-
ლიგნობის აღსაკვეთად და ესენი თავისას მინს არ იზლიან!

თეთრმა სახლმა ნეიტრონული ბომბის კომპო-
ნენტების წარმოებისათვის დაამტკიცა კანონპროექტი
სამი მილიარდი დოლარის ასიგნების შესახებ. ეს კი-
დეც ერთი დარტყმაა შეერთებული შტატების სოცია-
ლურ პრობლემებზე.

გაზეთებიდან



პოლიტიკური ავარია

ქართული
ენის ინსტიტუტი

6187



უნიტყვოდ